MES 6 22 0000476118

11/05/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:
1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნინო ჟვანია- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის

მოადგილე;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიათბილისში
მარინა ჯაფარიძე - სკოლის წარმომადგენელი

ს.პ.ს. ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთე
ნუნუ ბეიტრიშვილი - სკოლის დირექტორი
ნატალია ბეიტრიშვილი - სკოლის დირექტორის მოადგილე
თათია ზარქუა - სკოლის იურისტი

შპს ქართულ-გერმანული სკოლა სხივი
ეკა ჩიქობავა - სკოლის დირექტორი

ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირი
სტეფანი დროლი - სკოლის გამგეობის წარმომადგენელი
ნინო აბაშიძე - სკოლის გამგეობის წარმომადგენელი
თათია ზარქუა - სკოლის იურისტი

შპს ლომისი 1
თამარ ბარძიმაძე - სკოლის წარმომადგენელი

შპს გიმნაზია 21-ე საუკუნე
ელენე კალანდაძე - სკოლის წარმომადგენელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში
მიხეილ ტეფნაძე
ლელა ჯაში

ს.პ.ს. ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთე
ლელა ჯაში
ვერა ყურულაშვილი

შპს ქართულ-გერმანული სკოლა სხივი
ლელა ფიცხელაური
ვერა ყურულაშვილი

ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირი
ლელა ფიცხელაური
ნოდარ ანგურიძე

შპს ლომისი 1
მაკა ჭიაბერაშვილი
მარიამ ხუციშვილი

შპს გიმნაზია 21-ე საუკუნე
ნოდარ ანგურიძე
ნანა ედიშერაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 26 აპრილს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. „შპს კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა პოლუსის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 05 აპრილის N352584 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა;
2. სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ს.პ.ს. ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთეს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ქართულ-გერმანული სკოლა სხივის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს ლომისი 1 - ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს გიმნაზია 21-ე საუკუნის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. „შპს კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა პოლუსის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 05 აპრილის N352584 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ „შპს კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა პოლუსის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 05 აპრილის N352584 გადაწყვეტილებაში ფიქსირდებოდა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველ პუნქტში სკოლის საიდენტიფიკაციო კოდი იყო არასწორად მითითებული. შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო აღნიშნულ გადაწყვეტილებაში და დაკორექტირებულიყო დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი პირველ პუნქტში.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა პოლუსის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 05 აპრილის N352584 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, „შპს კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა პოლუსის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 05 აპრილის N352584 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
“1. შპს კერძო მრავალპროფილიან საშუალო სკოლა პოლუსს (ს/კ.: 406040243) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე;“

2. სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მიხეილ ტეფნაძემ და ლელა ჯაშმა. ექსპერტ, მიხეილ ტეფნაძის თქმით, დაწესებულების ძლიერი მხარე იყო მოსწავლეზე ორიენტირებულობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარება. მისი აზრით, ეს ყოველივე განაპირობებდა დაწესებულების წარმატებულობას.

ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ საბჭოს წარუდგინა ექსპერტთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. პირველ სტანდარტში რეკომენდაცია ეხებოდა საათობრივ ბადეს, ექსპერტთა აზრით, სამინისტროსთან უნდა შეეთანხმებინა დაწესებულებას აღნიშნული საკითხი, რადგანაც დაწესებულებაში პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე განსხვავებული სქემით ისწავლებოდა კონკრეტული საგნები, რაც დასკვნაშიც იყო მითითებული. ექსპერტთა შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა მატერიალურ რესურსს. კერძოდ, სკოლას უსაფრთხოების წესი უნდა შეეთანხმებინა განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან. ასევე, ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ ისაუბრა ერთწლიან სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით. მისი აზრით, აქტივობები დეტალურად უნდა ყოფილიყო გაწერილი დღეების, თვეების ან წლების მიხედვით, რათა აღქმადი ყოფილიყო, თუ რას და როგორ გეგმავდა დაწესებულება. ექსპერტის თქმით, გამოგზავნილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების რეკვიზიტები უნდა ყოფილიყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად გაწერილი და ამ ნაწილშიც ექსპერტთა მხრიდან გაიცა რეკომენდაცია. მიხეილ ტეფნაძის აზრით, მნიშვნელოვანი იყო დაწესებულების პასუხი მასწავლებელთა შერჩევის პროცესთან დაკავშირებით, რადგანაც მისი თქმით, ისინი ,,საქართველოს ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად არ იყვნენ შერჩეული. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში დასაქმებული იყო 50 მასწავლებელი, ხოლო მათგან მხოლოდ ერთ მასწავლებელს ჰქონდა სქემით გათვალისწინებული სტატუსი. ექსპერტის თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებას უკვე ჰქონდა დაწყებული მუშაობა.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა ყურადღება გაამახვილა მასწავლებელთა სქემაზე. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას 2016 წელს ჰქონდა შეთანხმებული მასწავლებელთა ალტერნატიული სქემა განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან, თუმცა მან აქვე დასძინა, რომ მოქმედი კანონმდებლობა ალტერნატიული სქემის არსებობას აღარ ითვალისწინებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და დაწესებულების წარმომადგენლებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რა პრინციპით იყო სკოლა ჩართული მასწავლებელთა სქემაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინა ჯაფარიძემ ისაუბრა მასწავლებელთა ალტერნატიულ სქემაზე, რომელიც შემუშავებული იყო სკოლაში. მისი თქმით, სკოლაში არსებობდა მასწავლებლის ორგვარი სტატუსი. პირველი, როდესაც მასწავლებელი იწყებდა მუშაობას. მარინა ჯაფარიძის თქმით, ამ დროს მას ჰყავდა მენტორი და ის მეთვალყურეობდა ყველა საკითხს. პირველ ეტაპზე დამწყები მასწავლებელი ესწრებოდა გაკვეთილებს. მეორე სტატუსის შემთხვევაში, მასწავლებელი უკვე თავად ატარებდა გაკვეთილებს აქტიურად და, შესაბამისად, სკოლის მხრიდან ფორმდებოდა სხვა ტიპის ხელშეკრულება. სკოლის წარმომადგენელმა, მარინა ჯაფარიძემ დაამატა, რომ სკოლაში მასწავლებელთა შერჩევის კრიტერიუმები იყო საკმაოდ მკაცრი და მასწავლებელი გაკვეთილზე შესვლამდე გადიოდა მოსამზადებელ კურსს. მისი თქმით, დაწესებულების ალტერნატიული სქემის მიხედვით მეორე ტიპის მასწავლებლის სტატუსი შეესაბამებოდა და უტოლდებოდა მენტორი მასწავლებლის სტატუსს. შესაბამისად, მან განმარტა, რომ სკოლა სტატუსის დამადასტურებელი გამოცდის ჩაბარებას მასწავლებლებს არ სთხოვდა. მარინა ჯაფარიძის თქმით, სკოლას გათვალისწინებული ჰქონდა ექსპერტთა რეკომენდაცია და მასწავლებელთა ნაწილი უკვე დარეგისტრირებული იყო მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდაზე. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ მასწავლებელთა ნაწილი იყო დოქტორის ხარისხის მქონე.

სკოლის წარმომადგენლის, მარინა ჯაფარიძის თქმით, სკოლას, ასევე, დაწყებული ჰქონდა უსაფრთხოების წესის შეთანხმების პროცედურა განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან. აგრეთვე, მისი თქმით, სამოქმედო გეგმაში აქტივობების ნაწილი უკვე გაწერილი იყო თვეებისა და სემესტრების მიხედვით, ხოლო ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტები შესაბამისობაში იყო მოყვანილი ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსთან. მარინა ჯაფარიძის თქმით, შინაგანაწესში ზუსტდებოდა მასწავლებელთა შერჩევის პროცესი.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ჰქონდა თუ არა სკოლას მასწავლებლებთან გაფორმებული მოწვეული მასწავლებლის სტატუსის ხელშეკრულებები.
სკოლის წარმომადგენელმა, მარინა ჯაფარიძემ აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ მსგავსი სახის ხელშეკრულებები არ ჰქონდა სკოლას გაფორმებული მასწავლებლებთან. ექსპერტმა, ლელა ჯაშმა, აქვე დაამატა, რომ მასწავლებლებს ჰქონდათ მინიმუმ 10 საათი კვირეული საათობრივი დატვირთვა და შესაბამისად, სკოლა მათთან ვერ გააფორმებდა მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულებას, რადგან მოწვეულ მასწავლებელს მხოლოდ 9 საათიანი დატვირთვა უნდა ჰქონოდა. ექსპერტმა, ასევე, დაამატა, რომ მასწავლებელს სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში მოუწევდა სტატუსის მოსაპოვებლად საქართველოს კანონმდებლობით მოქმედება.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა ექსპერტებთან დააზუსტა მასწავლებელთა ხელშეკრულებებთან დაკავშირებით საკითხი. ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განმარტა, რომ ყველა მასწავლებელთან სკოლას ჰქონდა გაფორმებული იდენტური ხელშეკრულებები. რომელთაგან მხოლოდ ერთს ჰქონდა მინიჭებული წამყვანი მასწავლებლის სტატუსი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კომენტარის სახით დაამატა, რომ სკოლას ჰქონდა ვალდებულება ყოველწლიურად სასკოლო სასწავლო გეგმასთან ერთად, დაემტკიცებინა სკოლის საათობრივი ბადე და მასწავლებელთა სქემა საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები დაწესებულებასთან.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 390 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში-სავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 390 - ით განსაზღვრის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 04 მაისის N17 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 04 მაისიდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 04 მაისიდან.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში-ს(ს/კ:

204958000) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 390 - ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 04 მაისი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული და ინგლისური ენა.
საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 2022-2023 სასწავლო წლის დაწყებამდე ცენტრში წარმოედგინა მასწავლებლებთან გაფორმებული განახლებული ხელშეკრულებები, სადაც აღწერილი იქნებოდა მათი სტატუსები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ს.პ.ს. ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთეს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ჯაშმა და ვერა ყურულაშვილმა. ექსპერტმა, ლელა ჯაშმა ისაუბრა სკოლის საათობრივ ბადეზე. მან, ასევე, აღნიშნა სკოლაში სხვადასხვა წრეებისა და კლუბების მუშაობა. ექსპერტის თქმით, სკოლა დიდ ყურადღებას უთმობდა ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებს. ექსპერტმა, ლელა ჯაშმა აღნიშნა სკოლის ჩართულობა მოსწავლეების ერთიანი ეროვნული გამოცდების მომზადების პროცესში.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა ისაუბრა სკოლის მატერიალურ და ასევე, ისაუბრა სკოლის ადამიანურ რესურსზე. მან აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა 8 კათედრა და განმარტა, რომ სკოლას ჰყავდა 82 მასწავლებელი, რომელთაგანაც 67 იყო უფროსი სტატუსის მქონე, 10 წამყვანი და 4 მოწვეული სტატუსის მქონე მასწავლებელი. აქვე, მან დაამატა, რომ სკოლაში იყო თანამშრომლობითი ატმოსფერო. ექსპერტის თქმით, სკოლის ადმინისტრაცია იყო სკოლაში მიმდინარე ყველა პროცესის თანამონაწილე.
ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა დაამატა, რომ სკოლაში კათედრების მუშაობას სკოლის ადმინისტრაცია მეტად უწყობდა ხელს. კერძოდ, მისი თქმით, თითოეულ კათედრას ჰქონდა გამოყოფილი სამუშაო სივრცე. ასევე, მან აღნიშნა კათედრების თანამშრომლობითი მუშაობის პრაქტიკა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, თუ რა იყო მიზეზი სკოლაში კათედრების ამგვარი გამართული საქმიანობის. სკოლის დირექტორის მოადგილემ, ნატალია ბეიტრიშვილმა განმარტა, რომ სკოლაში კათედრების წარმატებული მუშაობის საწინდარი თავად მასწავლებლების მაღალი კვალიფიკაცია იყო. აგრეთვე, მან დაამატა, რომ მასწავლებლები ჩართული იყვნენ მასწავლებელთა სქემაში, რაც დასტურდებოდა მათი სტატუსებითაც და სწორედ ამ ფაქტორების გამო ხდებოდა სკოლაში მასწავლებელთა წახალისება სხვადასხვა მეთოდით. ნატალია ბეიტრიშვილმა აღნიშნა, რომ ახალი თანამშრომლის მიღებაზე პასუხისმგებელი იყო შესაბამისი კათედრის თავმჯდომარე და სკოლა

დიდ ყურადღებას აქცევდა ახალი თანამშრომლების მიღებას და შემდგომ მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას.
საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა, თუ რამდენად შესაბამისობაში იყო სკოლის მიზნებთან სასკოლო სასწავლო გეგმა და სკოლის საათობრივი ბადე, კონკრეტულად კი ისტ-ის გამოყენება. სკოლის დირექტორის მოადგილემ, ნატალია ბეიტრიშვილმა განმარტა, რომ სასკოლო საგნებში იყო ინტეგრირებული კომპიუტერული ტექნოლოგიები და თითოეული საგნის ფარგლებში იღებდნენ პრაქტიკულ ცოდნას. აქვე, მან დაამატა, რომ მასწავლებლების ამ მიმართულებით გადამზადება სკოლას დაწყებული ჰქონდა 2012 წლიდან და ყოველკვირეულად მათთან ჰქონდათ გასაუბრება, სადაც მათთვის საინტერესო შეკითხვებს სცემდნენ პასუხს. ნატალია ბეიტრიშვილის თქმით, სკოლას 2012-2013 სასწავლო წლიდან დაწყებული ჰქონდა ელექტრონული რესურსების ბანკის წარმოება, სადაც განთავსებული იყო სკოლის თითოეული მასწავლებლის ელექტრონული რესურსი, რომელთან წვდომაც ყველა მასწავლებელს ჰქონდა. შესაბამისად, მისი თქმით, მასწავლებლები უზიარებდნენ ერთმანეთს საკუთარ რესურსებს და გამოცდილებასაც.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები დაწესებულებასთან.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 920 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ს.პ.ს. ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთესავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 920 - ით განსაზღვრის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 06 ივნისის N25 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 21 ივნისიდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 21 ივნისიდან.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ს.პ.ს. ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთეს(ს/კ: 209463659) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 920 - ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 21 ივნისი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

4. შპს ქართულ-გერმანული სკოლა სხივის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ფიცხელაურმა და ვერა ყურულაშვილმა. ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ავტორიზაციის ვიზიტის დროს აქტიურად თანამშრომლობდა ექსპერტებთან და საჭირო დოკუმენტაციას დროულად აწვდიდა. ექსპერტის თქმით, სკოლის საუკეთესო პრაქტიკა იყო ოლიმპიადებისა და კონკურსების ორგანიზება საქართველოს მასშტაბით, მაგალითად: ქართული ენისა და ლიტერატურის, ინგლისური ენისა და სტემ ფესტივალები. ასევე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ხელს უწყობდა ინტერკულტურული განათლების დანერგვას და კარგი გამოცდილება ჰქონდა სკოლას სსსმ პირებთან მუშაობის. ლელა ფიცხელაურის განმარტებით, სკოლას 2020 წლის მონიტორინგის შედეგად მიღებული რეკომენდაციები გააზრებული ჰქონდა და ნაწილობრივ შესრულებულიც. ექსპერტის თქმით, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ხორციელდებოდა მიზნობრივი კვლევები და შედეგები გამოიყენებოდა სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის. მან დაამატა, რომ სკოლას დაწყებული ჰქონდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა, მასწავლებლების პრაქტიკული გადამზადება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ცვლილებები იყო განხორციელებული სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებში, მოწყობილი იყო უსაფრთხო საფარიანი გარე მოედანი, რომელიც გამიჯნული იყო ავტომობილების სავალი ნაწილისგან, რაც წინა პერიოდში არ იყო. ასევე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ გარემო იყო ადაპტირებული შშმ პირებისათვის, ხოლო სასკოლო სასწავლო გეგმა შესაბამისობაში იყო ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, აგრეთვე აღნიშნა 2020 წლის მონიტორინგის დროს გაცემული რეკომენდაცია საბიბლიოთეკო სივრცესთან დაკავშირებით, რომელიც აღნიშნული ვიზიტის დროს იყო გამოსწორებული. თუმცა, დაამატა, რომ წიგნადი ფონდი არ იყო განახლებული და დაწესებულებაში იყო დაახლოებით 1800-მდე წიგნი. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტთა რეკომენდაცია იყო გაემრავალფეროვნებინა დაწესებულებას საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი. ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას დოკუმენტურად ყველა დეტალი ჰქონდა გაწერილი. მისი თქმით, დიდი როლი ენიჭებოდა ურთიერთთანამშრომლობასა და თანასწორობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და დაწესებულების წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა ყურადღება გაამახვილა სკოლის ძლიერ მხარეზე სსსმ მოსწავლეებთან დაკავშირებით და იკითხა თუ რა ჰქონდა სკოლას განსხვავებული და რატომ მიიჩნიეს ექსპერტებმა აღნიშნული სკოლის ძლიერ მხარედ. ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა სკოლის სტატისტიკა, რომელიც ადასტურებდა, რომ სკოლა აქტიურად და მიზანმიმართულად მუშაობდა აღნიშნული მიმართულებით. ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლას ჰქონდა 1 რესურს ოთახი, ჰყავდა 1 ფსიქოლოგი და 1 სპეც-მასწავლებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები დაწესებულებასთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 460 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-გერმანული სკოლა სხივისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 460 - ით განსაზღვრის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 21 ივნისის N24 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 28 ივლისიდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 28 ივლისიდან.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ქართულ-გერმანული სკოლა სხივის(ს/კ: 205257407) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 460 - ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 28 ივლისი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს სხდომაზე 16:40 საათზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 16:55 საათზე.

5. ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად,

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ფიცხელაურმა და ნოდარ ანგურიძემ. ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება იყო კულტურული დიალოგის გერმანული სკოლა, სადაც მოსწავლეები იღებდნენ გერმანიაში აღიარებულ განათლებას, თუმცა ამავდროულად ეუფლებოდნენ ქართულ ენასა და კულტურას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა გასცემდა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ გერმანულ ატესტატს, რაც იძლეოდა გერმანიაში სწავლის მომდევნო საფეხურის გაგრძელების შესაძლებლობას. ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განმარტა, რომ სკოლამ ავტორიზაციის დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ ნაწილობრივ გაითვალისწინა ექსპერტმა მიერ გაცემული რეკომენდაციები. მან დაამატა, რომ დაწესებულება ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში აგრძელებდა გარკვეული რიგი საკითხების შესათანხმებლად კონსულტაციებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა ისაუბრა ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირში ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდამდე უკვე განხორციელებული მონიტორინგის შესახებ. მან განმარტა, რომ აღნიშნული მონიტორინგის დროს დაფიქსირებული ხარვეზები კვლავ ფიქსირდებოდა სკოლაში. კერძოდ, ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ზოგადი განათლების შესახებ კანონთან რამდენიმე საკითხის შეუსაბამობა. ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განმარტა, რომ სკოლაში იყო განსხვავებული საფეხურეობრივი დაყოფა. კერძოდ, დაწყებითი საფეხური მოიცავდა 1-4 კლასებს, გიმნაზია-საბაზო საფეხური 5-10 კლასებს, ხოლო საშუალო საფეხური 11-12 კლასებს. ექსპერტის თქმით, შესაბამისად განსხვავებული იყო თითოეული საფეხურის მიზნები და მისაღწევი შედეგებიც. მან დაამატა ამასთან დაკავშირებით სკოლის პოზიცია, მათი განმარტებით აღნიშნული ვერ შეიცვლებოდა, რადგან ამის ნებართვას არ იძლეოდა გერმანიის ფედერაციის მიწების, კულტურის და განათლების საბჭოს მიერ დადგენილი მოთხოვნები. ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა აგრეთვე ისაუბრა მოსწავლეთა შეფასების სისტემაზე და განმარტა, რომ მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანის არადამაკმაყოფილებელი ნიშანი შეიძლებოდა დაბალანსებულიყო სხვა სამ საგანში მიღებული ნიშნით, ან არ დაბალანსებულიყო. აღნიშნული საკითხი, ექსპერტის თქმით, დამოკიდებული იყო საგნების ჯგუფზე. მისი განმარტებით, ნიშნის არ დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსწავლეს არ ეძლეოდა შემდეგ კლასში გადასვლის უფლება. ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, ასევე აღნიშნა, რომ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის, ბარიერის ვერ დაძლევის შემთხვევაში დაშვებული იყო კლასის გამეორების შემთხვევაც. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ექსპერტმა მოიყვანა განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული წერილიდან ციტირება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს კანონმდებლობა არ იძლეოდა დაწყებითი საფეხურის მოსწავლის კლასში ჩატოვების საშუალებას, ასევე, ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ზოგადი განათლების შესახებ კანონთან იყო შეუსაბამობაში დაწესებულების საფეხურეობრივი დაყოფა. ექსპერტმა დაამატა, რომ განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ სკოლისთვის მიწერილ წერილში ხაზგასმული იყო, დაწესებულების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხი.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, აგრეთვე, ისაუბრა იმ საკითხებზე, რომლებიც რეკომენდაციის სახით ექსპერტთა მხრიდან მიეცა სკოლას, ხოლო სკოლამ ისინი მოიყვანა სრულყოფაში. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ სკოლამ ექსპერტთა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ შეცვალა მაძიებელ მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება. ასევე, მისი თქმით, სკოლამ შინაგანაწესში განსაზღვრა თანამშრომელთა დისციპლინური დევნის შემთხვევები და დისციპლინური დევნის მეთოდები. ექსპერტის თქმით, ცვლილება შევიდა კონკურსის გამოცხადების წესში და სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელსაც მიეცა ერთიანი სახე.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა ისაუბრა სკოლაში დასაქმებულ 8 მასწავლებელზე, რომლებიც იყვნენ დასაქმებული არა ქართული, არამედ გერმანული სკოლების ცენტრალური სამმართველოს მიერ წარმოდგენილი წესის მიხედვით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა სკოლის არგუმენტი, რომლის მიხედვითაც სკოლას ეძლეოდა არაქართული წესით მასწავლებელთა დასაქმების უფლება ქართულ და გერმანულ მხარეებს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე. აქვე, ექსპერტმა ციტირება მოიყვანა საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ სკოლისთვის მიწოდებული წერილიდან, რომლის მიხედვითაც სკოლა იყო ვალდებული მასწავლებელთა დასაქმება განხორციელებულიყო საქართველოში მოქმედი წესის მიხედვით.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, აგრეთვე, ისაუბრა იმ საკითხებზე, რომელთა გასწორებაც მოხდა სკოლის მხრიდან გასული წლის მონიტორინგის დროს გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ სკოლაში ქართული ენა უკვე ისწავლებოდა როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მოსწავლეებისთვისაც და ის იყო არა ფაკულტატური, არამედ სავალდებულო საგანი. ასევე, ექსპერტმა აღნიშნა უცხოელ მოსწავლეებთან დაფიქსირებული ხარვეზი, რომლის მიხედვითაც მოსწავლის სწავლის არ აღიარების შემთხვევაში არ ფიქსირდებოდა მოსწავლის ჩარიცხვისა და ამორიცხვის შესახებ ინფორმაცია. ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი სკოლის მხრიდან იყო გასწორებული. ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, აგრეთვე, გამოყო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, რომელიც სკოლას არ ჰქონდა შეთანხმებული განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან, თუმცა ექსპერტის თქმით, ავტორიზაციის ვიზიტის დროს აღნიშნული ხარვეზი სკოლის მხრიდან იყო გამოსწორებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ ჰქონდათ ინფორმაცია დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების კლასში ჩატოვების კონკრეტული შემთხვევების შესახებ და, ასევე, როგორ ხდებოდა აღნიშნული მოსწავლის დაფინანსება სახელმწიფოს მხრიდან.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ სკოლაში დაწყებითი საფეხურის მოსწავლის კლასში ჩატოვების შემთხვევა არ ფიქსირდებოდა. რაც შეეხებოდა მოსწავლის ვაუჩერული დაფინანსების წესს კლასში ჩატოვების შემთხვევაში, ექსპერტის თქმით, მას არ ჰქონდა აღნიშნულთან დაკავშირებით კონკრეტული ინფორმაცია.

სკოლის იურისტმა, თათია ზარქუამ განმარტა, რომ ზოგადი განათლების შესახებ კანონში შესული ცვლილების საფუძველზე სკოლას ეძლეოდა განსხვავებული საფეხურეობრივი დაყოფის უფლება. მან, ასევე, დაამატა, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა და ამორიცხვა ფორმდებოდა ბრძანების სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით. თათია ზარქუამ აღნიშნა, რომ უცხოელი მოსწავლის მიღების შემთხვევაში ჯერ ხდებოდა მოსწავლის საზღვარგარეთ მიღებული ცოდნის აღიარება და შემდეგ ჩარიცხვა დაწესებულებაში. სკოლის იურისტმა, აგრეთვე, ისაუბრა კლასში ჩატოვებული მოსწავლის სახელმწიფოს მიერ ვაუჩერული დაფინანსების საკითხზე და აღნიშნა, რომ 12 წლის შემდეგ კლასში ჩატოვებულ მოსწავლეს სწავლის საფასურთან ერთად მოუწევდა ვაუჩერის თანხის გადახდაც. აქვე, მან დაამატა, რომ კლასში ჩატოვების შემთხვევები სკოლას ბოლო წლების განმავლობაში აღარ ჰქონდა. სკოლის იურისტმა, თათია ზარქუამ, ასევე, აღნიშნა სკოლის მხრიდან სტიპენდიების გაცემის წესი. მისი თქმით, სკოლის სტიპენდიით სარგებლობდა 40-მდე მოსწავლე.

ცენტრის წარმომადგენლის, თამარ შენგელიას განცხადებით, ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6[1] თანახმად, ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურებზე უცხოურ ენაზე განხორციელებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები შეიძლება ითვალისწინებდეს ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურებისთვის ამ კანონის მე-2 მუხლის „ო“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სასწავლო წლებისგან განსხვავებულ წლებს იმ პირობით, რომ ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო

საფეხურებზე უცხოურ ენაზე განხორციელებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სწავლების წლების ჯამური რაოდენობა 6-ზე მეტი ან მასზე ნაკლები არ იქნება.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, თუ როგორ რეგულირდებოდა სკოლაში საფეხურეობრივი დაყოფა, რომელიც არ იყო თანხვედრაში კანონთან ზოგადი განათლების შესახებ. მან დაამატა, რომ კანონში შესული ცვლილება მაინც არ აძლევდა სკოლას საფეხურების მსგავსად დაყოფის უფლებას. სკოლის იურისტმა, თათია ზარქუამ განმარტა, რომ საბაზო და საშუალო საფეხურების დაყოფის პრინციპი მეტნაკლებად თანხვედრაში იყო ზოგადი განათლების შესახებ კანონთან, თუმცა დაწყებითი საფეხურის დაყოფის პრინციპთან დაკავშირებით დაწესებულებას ჰქონდა ხარვეზი, რომლის ირგვლივაც გრძელდებოდა კომუნიკაცია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან და გერმანულ მხარესთან.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, იყო თუ არა მოსწავლის კლასში ჩატოვების და სკოლის საფეხურების დანაწევრების საკითხი სკოლის მიერ გადასაწყვეტი საკითხები. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დაწესებულება დაარსებული იყო გერმანიის მხარის მიერ და მსგავსი გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების საშუალება სკოლას არ ჰქონდა. მან დაამატა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა გერმანულ მხარესთან 2021 წელს განხორციელებული მონიტორინგის შემდეგ. სკოლის წარმომადგენელმა, სტეფანი დროლმა განმარტა, რომ გერმანიის შესაბამის ორგანოსთან გაგზავნილი იყო წერილობითი მოთხოვნა აღნიშნული საკითხის დარეგულირების მიზნით. მან დაამატა, რომ სკოლა საქართველოში მოქმედი ავტორიზაციის პროცედურის გარდა გადიოდა გერმანიაში მოქმედი ავტორიზაციის პროცედურებსაც.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა ისაუბრა ავტორიზაციის ახალ სტანდარტებზე, რომლებიც დანერგვის პროცესში იყო და აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ახალი სტანდარტები იყო მეტად მოქნილი მსგავსი ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების შეფასების პროცესში.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ აღნიშნა, რომ საბჭო გადაწყვეტილებას უნდა იღებდეს საქართველოს კანონმდებლობის დაცვის გათვალისწინებით და სკოლა იყო ვალდებული მორგებულიყო საქართველოში მოქმედ ავტორიზაციის სტანდარტებს.
საბჭოს წევრის, ნატო გაბოშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ იგეგმებოდა ცვლილებები კანონში ზოგადი განათლების შესახებ, არ იგეგმებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება. მისი განმარტებით, როდესაც სკოლა სხვა ქვეყნის პროგრამას ახორციელებდა საქართველოში, დაწესებულება ვალდებული იყო მისი პროგრამა თავსებადობაში ყოფილიყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.
სკოლის იურისტმა, თათია ზარქუამ განმარტა, რომ სკოლას შეთანხმებული ჰქონდა პროგრამული ნაწილი განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან, რაც დაადასტურა ავტორიზაციის ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას, თუ რამდენად იყო დაწესებულება მზად მოსულიყო შესაბამისობაში საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან.
სკოლის იურისტმა, თათია ზარქუამ განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა კომუნიკაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან. მან დაამატა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლა აწარმოებდა შეხვედრებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და გერმანიის საელჩოსთან საქართველოში.
სკოლის წარმომადგენელმა, სტეფანი დროლმა დაამატა, რომ სკოლა დაარსებული იყო 12 წლის წინ მემორანდუმის საფუძველზე, გერმანიის სახელმწიფოს მიერ. მისი თქმით, სკოლა ცდილობდა გასული მონიტორინგის ვიზიტების დროს დაფიქსირებული ხარვეზების

გამოსწორებას და რეკომენდაციების შესრულებას. მან აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა 9 გერმანელი მასწავლებელი, რომლებიც არ იყვნენ შემთხვევითობის პრინციპით არჩეულნი და მათ უფიქსირდებოდათ შესაბამისი კვალიფიკაცია. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა სურვილი ყოფილიყო საქართველოში ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება და ჰქონოდა ქვეყანაში ოპერირების საშუალება. მან აღნიშნა, რომ რადგან ქართული და გერმანული მხარე თანხმდებოდა აღნიშნული სკოლის არსებობაზე, მაშინ აუცილებელი იყო სკოლაში სასწავლო პროცესი განეხორციელებინათ ასევე, გერმანელ მასწავლებლებს.
საბჭოს სხდომაზე 18:05 საათზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 18:35 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 300 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300 - ით განსაზღვრის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 06 ივნისის N21 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 06 ივნისიდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 06 ივნისიდან.
საბჭოს წევრებმა გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 3

საბჭოს წევრებმა, გიორგი გიგიბერიამ, ნატო გაბოშვილმა და მანანა ჯინჭარაძემ მხარი არ დაუჭირეს ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის, მე-3, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირს (ს/კ: 404378874) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300 - ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 6 ივნისი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა გერმანული ენა.

საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 2022-2023 სასწავლო წლის დაწყებამდე საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოეყვანა რამდენიმე საკითხი და წარმოედგინა ცენტრში შესაბამისი დოკუმენტაცია. კერძოდ, თანამშრომელთა/პედაგოგების მიღების წესი, პროგრამების საფეხურეობრივად დაყოფის წესი, მეხუთე კლასის მეორე სემესტრამდე მოსწავლეების განმსაზღვრელი შეფასების არსებობა და დაწყებით საფეხურზე მოსწავლის კლასში ჩატოვების საკითხი. საბჭოს გადაწყვეტილებით, 2022-2023 სასწავლო წლის დაწყებამდე, აღნიშნული რეკომენდაციის არ შესრულების შემთხვევაში საბჭომ მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მყისიერი მონიტორინგის განხორციელების შუამდგომლობით. აღნიშნული საკითხების მოგვარების შემთხვევაში, საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს 1 წლის ვადაში განხორციელებულიყო მონიტორინგი ავტორიზაციის იმ დროისთვის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

6. შპს ლომისი 1 - ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაკა ჭიაბერაშვილმა და მარიამ ხუციშვილმა. ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა ყურადღება გაამახვილა დაწესებულების ძლიერ მხარეზე და აღნიშნა მოსწავლეთა თვითმმართველობის მრავალწლიანი გამოცდილება, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები აქტიურად ახორციელებდნენ სოციალურ პროექტებს. ექსპერტის თქმით, ისინი მონაწილეობას ღებულობდნენ სკოლის მართვაში და არაფორმალური განათლების მხრივ ჩართული იყვნენ პროექტებში. მაკა ჭიაბერაშვილის თქმით, ხარვეზი არცერთ სტანდარტში არ დაფიქსირებულა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსი სრულად აკმაყოფილებდა სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ექსპერტმა დაამატა, რომ ვიზიტის ფარგლებში დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობდა მათთან.
ექსპერტ, მაკა ჭიაბერაშვილის თქმით, დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტთა მხრიდან გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია. აქვე ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლამ ადგილზევე გაითვალისწინა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები. კერძოდ, როგორც ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა განმარტა, სკოლას შეფასების ნაწილი ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული ჰქონდა და შეფასების მინიმალური ზღვარი იყო 6 ქულა. ექსპერტთა მხრიდან პედაგოგიურ საბჭოსთან საუბრის შემდგომ, ექსპერტის თქმით, აღნიშნული საკითხი შეიცვალა და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში მოიყვანა სკოლამ შეფასების სისტემა. ექსპერტის განცხადებით, მათი მხრიდან სკოლის პროგრამულ ნაწილთან დაკავშირებითა გაიცა სამი რეკომენდაცია. კერძოდ, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას დაწყებული ჰქონდა ახალი სკოლის მოდელის დანერგვის პროცესი და ჰქონდა კურიკულუმების შექმნის გამოცდილებაც, თუმცა მათთან ერთად, სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა თემატური გეგმებიც. ექსპერტთა რეკომენდაცია იყო, რომ უფრო მეტად ყოფილიყო გამიჯნული ერთმანეთისგან თემატური გეგმები და კურიკულუმები. ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა, აგრეთვე ისაუბრა იმ რეკომენდაციაზე, რომელიც სკოლას შემაჯამებელი დავალებების ანალიზთან და შეფასების

რუბრიკებთან დაკავშირებით მიეცა. ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლის შეფასების რუბრიკები უნდა ყოფილიყო მეტად ფოკუსირებული საგნობრივ სტანდარტებზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა მოსწავლის შეფასების მინიმალურ ზღვართან დაკავშირებით და თუ ჰქონდა სკოლას საშემოდგომო ან კლასში დარჩენის შემთხვევები. ექსპერტ, მაკა ჭიაბერაშვილის თქმით, სკოლაში მსგავსი ფაქტი არ ფიქსირდებოდა. მან დაამატა, რომ როდესაც მოსწავლე გარკვეულ სირთულეებს აწყდებოდა რომელიმე საგანში, მას დამატებითი გაკვეთილები უტარდებოდა, რა დროსაც მასწავლებლები სირთულის გადალახვაში ეხმარებოდნენ. ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლაში არ ტარდებოდა სემესტრული ან წლიური გამოცდები და იყო მხოლოდ მონიტორინგი, რომლის მეშვეობითაც ადგენდნენ განვითარების ხარისხსა და დინამიკას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები დაწესებულებასთან.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 300 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ლომისი 1 - ის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300 - ით განსაზღვრის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 13 ივლისის N36 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 13 ივლისიდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 13 ივლისს.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ლომისი 1 - ის (ს/კ: 209466932) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300 - ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 13 ივლისი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

7. შპს გიმნაზია 21-ე საუკუნის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნოდარ ანგურიძემ და ნანა ედიშერაშვილმა. ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა სწავლების 23 წლიანი გამოცდილება. მან ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და ახსენა, რომ დაწესებულებაში სწავლობდნენ სხვადასხვა ეროვნების მქონე მოსწავლეები, რაც სასწავლო პროცესს მეტად მრავალფეროვანს ხდიდა. ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ ისაუბრა იმ რჩევებზე, რაც ექსპერტთა მხრიდან იქნა გაცემული საავტორიზაციო შეფასების ფარგლებში. კერძოდ, მან გამოყო სკოლის საათობრივი ბადე, სადაც ექსპერტის თქმით კვირეული დატვირთვა იყო 40 საათი, ხოლო გაკვეთილებს შორის შესვენება იყო მხოლოდ 5 წუთიანი და ერთ შემთხვევაში 10 წუთიანი, რაც ექსპერტის თქმით, არ იყო საკმარისი დრო მოსწავლეებისთვის. მათი რჩევა შეეხებოდა სწორედ აღნიშნულ საკითხს. ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ, ასევე, ახსენა სპორტის გაკვეთილები და განმარტა, რომ მათი რჩევის მიხედვით უმჯობესი იქნება, თუ სკოლა საათობრივ ბადეში სპორტის საათს დაამატებდა და გახდიდა კვირეულ დატვირთვას 2 საათს.

ექსპერტ, ნოდარ ანგურიძის თქმით, სკოლას მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული ჰქონდა 580, თუმცა ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა საგანმანათლებლო პროცესს ახორციელებდა ორ ცვლაში და მხოლოდ ამ შემთხვევაში შეეძლო 580 მოსწავლისთვის შესაბამისი მომსახურების გაწევა.

ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა დაამატა დაწესებულების ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით და განმარტა, რომ სკოლას ყველა თანამშრომელთან შესაბამისი წესით ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, რამდენად იყო შესაბამისობაში სკოლის მატერიალური რესურსი სკოლის მიერ მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობასთან. რაზეც ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ უპასუხა, რომ საკლასო ოთახებში განთავსებული იყო 300 მერხი და სკამი. თუმცა, ექსპერტის თქმით, სკოლას წინა ავტორიზაცია გავლილი ჰქონდა 430 მოსწავლეზე, შესაბამისად დანარჩენი 130 მერხი და სკამი ჰქონდა შეძენილი და დასაწყობებული. ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ, დაამატა, რომ 300 მოსწავლეზე მეტი სკოლაში ფიზიკურად ვერ ისწავლიდა. მან აქვე განმარტა, რომ აღნიშნულ 300 მოსწავლის მომსახურებას დააკმაყოფილებდა მხოლოდ ორი ცვლის არსებობის შემთხვევაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები დაწესებულებასთან.

საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ როგორ აპირებდა სკოლა მოსწავლეთა განაწილებას ქართულ და რუსულ სექტორებს შორის. სკოლის წარმომადგენელმა, ელენე კალანდაძემ განმარტა, რომ შექმნილი ვითარების გამო უკრაინელი მოქალაქეების მომართვიანობა იყო გაზრდილი რუსულ სექტორზე, უკრაინული სექტორის არარსებობის გამო. შესაბამისად, სკოლას აღნიშნული მიზეზის გამო სურდა მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდა. აქვე, მან დაამატა, რომ სკოლას ჰქონდა სურვილი გაეხსნა უკრაინული სექტორიც, თუმცა შესაბამისი პერსონალის მოძიება ქალაქ ბათუმში ვერ მოხერხდა მიმდინარე ეტაპზე. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სკოლაში დასაქმებული იყო ერთი

უკრაინული ენის მცოდნე მასწავლებელი, რომელიც დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას გაუწევდა უკრაინელ მოსწავლეებს.
საბჭოს წევრმა, გიორგი გიგიბერიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ორცვლიან სწავლებასთან დაკავშირებით, თუ ჰქონდა სკოლას სამოქმედო გეგმებში გაწერილი ხედვა ინფრასტრუქტურის და სასწავლო ფართის გაზრდასთან დაკავშირებით. სკოლის წარმომადგენელმა, ელენე კალანდაძემ აღნიშნულთან დაკავშირებით უპასუხა, რომ მოცემულ ეტაპზე სკოლას გეგმა არ ჰქონდა შემუშავებული.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რატომ არ იყო აღნიშნული საკითხი შეტანილი დაწესებულების განვითარების გრძელვადიან (ექვსწლიან) გეგმაში და რატომ არ ზრუნავდა სკოლა ამ მიმართულებით განვითარებას. სკოლის წარმომადგენელმა, ელენე კალანდაძემ განმარტა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ კრძალავდა ორცვლიან სწავლებას და, ამავე დროს, სკოლას არ ჰქონდა ფართის გაზრდის საშუალება.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ორცვლიანი სწავლების შემთხვევაში განათლების ხარისხი და უსაფრთხოების ზომები ვერ იქნებოდა სრულყოფილად დაცული.
საბჭოს სხდომაზე 20:10 საათზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 20:30 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გიმნაზია 21-ე საუკუნის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 580 - ით განსაზღვრის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 19 სექტემბრის N105 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 19 სექტემბრიდან 6 წლის ვადით. სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო საბჭოს სხდომის ჩატარების დღესვე, 2022 წლის 26 აპრილიდან, რადგან მათ სურდათ უკრაინელი მოსწავლეების ჩარიცხა, რომელთაც უკვე გაკეთებული ჰქონდათ სკოლაში განაცხადი ჩარიცხვასთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრებმა გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის, მე-3, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს გიმნაზია 21-ე საუკუნეს (ს/კ: 245433865) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 580 - ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 26 აპრილი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული და რუსული ენა.
საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 2022 წლის 15 სექტემბრამდე სკოლას ცენტრში წარმოედგინა ხედვა, თუ როგორ აპირებდა 580 მოსწავლისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურების გაწევას და შესაბამისი გეგმა, მატერიალური რესურსების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა სასწავლო

ფართს. ამასთან, საბჭომ მიმართა შუამდგომლობით ცენტრს, ავტორიზაციის მინიჭებიდან 2 წლის განმავლობაში განეხორციელებინა დაწესებულებაში მონიტორინგი იმ დროისთვის მოქმედი ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 20:45 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა